საიდ. №78252/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №110-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, უ. ოშხნელი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ალმაზ-მ“ (Общество с ограниченной ответственостью „АЛМАЗ-М“) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №110-03/16), რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 27 ივნისის №1396/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც

სასაქონლო ნიშანს (საიდ. N78252/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და

აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია მე-3 კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს; კბილის ფხვნილები და პასტები; პირადი დანიშნულების ტუალეტის საშუალებები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს, მათ შორის აბაზანის და შხაპის გელები და ქაფები, თმის მოვლის საშუალებები, მათ შორის შამპუნები და კონდიციონერები თმებისთვის; სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს“.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 27 ივნისის N1396/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ძიების შედეგმა გამოავლინა „ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების“, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე დაცული ორი ადგილწარმოშობის დასახელება: 1. (საიდ. 624/06) – „Huile essentielle ou essence de lavande de Haute-Provence“, 2. (საიდ. 141/07) – „Huile essentielle de lavande de Haute-Provence“. 2014 წლის 08 აგვისტოს კომპანიამ ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ალმაზ-მ“ (Общество с ограниченной ответственостью „АЛМАЗ-М“) მიმართა საქპატენტს განაცხადით და მოითხოვა კომბინირებული სასაქონლო ნიშნის „Le Flirt Du Provence“ (საიდ. N78252/03) დარეგისტრირება მე-3 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და

აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; პარფიუმერული ნაწარმი, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კბილის ფხვნილები და პასტები; პირადი დანიშნულების ტუალეტის საშუალებები და კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, მათ შორის აბაზანის და შხაპის გელები და ქაფები, თმის მოვლის საშუალებები, მათ შორის შამპუნები და კონდიციონერები თმებისთვის, სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები". „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად: „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტურია, მსგავსია, შეიცავს მას ან ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის, ანდა ასეთი სასაქონლო ნიშნით სარგებლობით მოხდება დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების რეპუტაციის გამოყენება. ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული მისი გამოყენების უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანში". ამასთან, საქართველოში „ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების", „საქართველოსა და ევროკავშირს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმებისა" და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების" თანახმად, საქართველოში - „ეთერზეთებისათვის" (Lavandula angustifolia P. Miller, essential oils) დაცულია შემდეგი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები: 1. (საიდ. 624/06) – „Huile essentielle ou essence de lavande de Haute-Provence", 2. (საიდ. 141/07) – „Huile essentielle de lavande de Haute-Provence". სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი მოიცავს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების იდენტურ სიტყვიერ ნაწილს „provence", შესაბამისად არსებობს ნიშნებს შორის აღევისა და

მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. მსგავსია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნისა და დაცული ადგილწარმოშობის დასახელების საქონლის ჩამონათვალის ნაწილი. ადგილწარმოშობის დასახელება დაცულია „ეთერზეთებისთვის“, რაც მსგავსია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საქონლის ჩამონათვალის, კერძოდ, კი „ეთერზეთებს“ შესაძლებელია შეიცავდეს: „პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები, კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები“. შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდება შემდეგი საქონლის ჩამონათვალისთვის: "მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; კბილის ფხვნილები და პასტები; პირადი დანიშნულების ტუალეტის საშუალებები, აბაზანის და შხაპის გელები და ქაფები, თმის მოვლის საშუალებები, მათ შორის შამპუნები და კონდიციონერები თმებისთვის“. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ალმაზ-მ“ (Общество с ограниченной ответственостью „АЛМАЗ-М“) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის მითითებით, საქპატენტის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს , უარი ეთქვა

რეგისტრაციაზე საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-3 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალისათვის: „პარფიუმერული ნაწარმი, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები", იმ საფუძვლით, რომ იგი შეიცავს „ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმებით" და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების" საფუძველზე საქართველოში დაცული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების: „Hulle essentielle ou essence de lavande de Haute-Provence" იდენტურ სიტყვიერ ნაწილს „Provence". ექსპერტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებით ადგილწარმოშობის დასახელება „Hulle essentielle ou essence de lavande de Haute-Provence" საქართველოში დაცულია მხოლოდ ეთერზეთებისათვის, იგი შეცდომაში შემყვანია მე-3 კლასის იმ საქონლისთვისაც, რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს ეთერზეთებს. ექსპერტმა ჩათვალა, რომ მე-3 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალიდან ეთერზეთებს შესაძლოა შეიცავდეს: „პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, სახის და ტანის კრემები, მათ შორის, ხელის და ფეხის კრემები", ეს კი სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-3 კლასის საქონლისათვის: „პარფიუმერული ნაწარმი, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები" სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. აპელანტის განმარტებით, იგი ნაწილობრივ ეთანხმება ექსპერტიზის უარყოფით გადაწყვეტილებას, კერძოდ, „ეთერზეთებთან" დაკავშირებით, მაგრამ არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას შემდეგ საქონელთან დაკავშირებით:

„პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები“, რომელიც ექსპერტის ვარაუდით შესაძლებელია შეიცავდეს ეთერზეთებს. აპელანტი თანახმაა შეზღუდოს საქონლის ჩამონათვალი და ითხოვს დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშანი საქართველოში მე-3 კლასის შემდეგი შეზღუდული საქონლის ჩამონათვალისათვის: „მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები და თმის ლოსიონები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს; კბილის ფხვნილები და პასტები; პირადი დანიშნულების ტუალეტის საშუალებები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს; აბაზანის და შხაპის გელები და ქაფები, თმის მოვლის საშუალებები, მათ შორის შამპუნები და კონდიციონერები თმებისთვის; სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს“. აპელანტის პოზიციით, ადგილწარმოშობის დასახელება - ”Hulle essentielle ou essence de lavande de Haute-Provence” ლისაბონის შეთანხმებით დაცულია ევროკომისიის კლასიფიკაციის 3.2. კლასისათვის, რომელშიც შეტანილია მხოლოდ ეთერზეთები და ეს დაცვა არ ვრცელდება იმ საქონელზე რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს ეთერზეთებს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ ის „საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტურია, მსგავსია, შეიცავს მას ან ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის, ანდა ასეთი სასაქონლო ნიშნით

სარგებლობით მოხდება დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების რეპუტაციის გამოყენება. ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული მისი გამოყენების უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანში". აპელანტის განმარტებით, „ეთერზეთები", რომლისთვისაც დაცულია დაპირისპირებული ადგილწარმოშობის დასახელება და განცხადებული საქონლის ის ნაწილი, კერძოდ: „პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები", რომლის მიმართაც რეგისტრაციაზე გამოტანილია უარყოფითი გადაწყვეტილება, არ არის ერთგვაროვანი და უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ეს საქონელი შესაძლებელია შეიცავდეს ეთერზეთებს არ არის მართებული. აპელანტი ითხოვს სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინოს ზემოთ მოყვანილი მოსაზრება საქონლის არაერთგვაროვნების შესახებ, ის ფაქტი, რომ ადგილწარმოშობის დასახელება "Hulle essentielle ou essence de lavande de Haute-Provence" ლისაბონის შეთანხმებით დაცულია ევროკომისიის კლასიფიკაციის 3.2. კლასისათვის, რომელშიც შეტანილია მხოლოდ ეთერზეთები და ეს დაცვა არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს ეთერზეთებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 27 ივნისის №1396/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს (საიდ. N78252/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-3 კლასის

საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნის რეგისტრაციას მე-3 კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს; კბილის ფხვნილები და პასტები; პირადი დანიშნულების ტუალეტის საშუალებები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს, მათ შორის აბაზანის და შხაპის გელები და ქაფები, თმის მოვლის საშუალებები, მათ შორის შამპუნები და კონდიციონერები თმებისთვის; სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს“.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტურია, მსგავსია, შეიცავს მას ან ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება იდენტური ან მსგავსი საქონლისათვის, ანდა ასეთი სასაქონლო ნიშნით სარგებლობით მოხდება დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების რეპუტაციის გამოყენება. ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება დაუცველი ნაწილის სახით არის ჩართული მისი გამოყენების უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანში“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი (საიდ. N78252/03) მსგავსია საქართველოში „ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების“, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ თანახმად, საქართველოში - „ეთერზეთებისათვის“ (Lavandula angustifolia P. Miller, essential oils) დაცული შემდეგი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებების: 1. (საიდ. 624/06) – „Huile essentielle ou essence de lavande de Haute-Provence“, 2. (საიდ. 141/07) – „Huile essentielle de lavande de Haute-Provence“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების იდენტურ სიტყვიერ ნაწილს „provence“, შესაბამისად, არსებობს ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. ამასთან, მართალია აპელანტმა შეზღუდა მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; პარფიუმერული ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს; კბილის ფხვნილები და პასტები; პირადი დანიშნულების ტუალეტის საშუალებები; კოსმეტიკური საშუალებები კანის გაწმენდის საშუალებების ჩათვლით, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს, მათ შორის აბაზანის და შხაპის გელები და ქაფები, თმის მოვლის საშუალებები, მათ შორის შამპუნები და კონდიციონერები თმებისთვის; სახის და ტანის კრემები, მათ შორის ხელის და ფეხის კრემები, რომლებიც არ შეიცავენ ეთერზეთებს“, მაგრამ აღნიშნული შეზღუდვის ფარგლებში მაინც არსებობს განცხადებულ ნიშანსა და საქართველოში დაცულ ადგილწარმოშობის დასახელებებს შორის აღრევის, მათ შორის ასოციერების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, ვინაიდან პარფიუმერული

ნაწარმი, კოსმეტიკური საშუალებები, სახისა და ტანის კრემები და ეთერზეთები მათი ბუნებისა და დანიშნულების მიხედვით წარმოადგენს ერთგვაროვან საქონელს, ჰყავთ საერთო მომხმარებელი და აქვთ ერთი და იგივე სარეალიზაციო ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის (საიდ. N78252/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ობშჩესტვო ს ოგრანიჩენნოი ოტვეტსტვენნოსტიუ „ალმაზ-მ" (Общество с ограниченной ответственостью „АЛМАЗ-М") არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 27 ივნისის №1396/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

უ. ოშხნელი